საინფორმაციო ბუკლეტი №162 სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ

აპრილი 2013

სვინარენკო და სლადნევი რუსეთის წინააღმდეგ **- 32541/08 და 43441/08**
(Svinarenko and Slyadnev v. Russia)
გადაწყვეტილება 11.12.2012 (1-ლი სექცია)

მუხლი 3

ღირსების შემლახველი მოპყრობა

მომჩივანთა მოთავსება რკინის საკანში სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის დროს: *საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას*

მომჩივნები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა სამართალწარმოება ძალადობის დანაშაულების გამო, სასამართლოს წინაშე წარდგენისას იმყოფებოდნენ რკინის საკანში. პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუთქვამს მომჩივანთა მიმართ ამგვარი მოპყრობის მიზეზი.

2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, სასამართლოს პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ მოხდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის (უკიდურესად ხანგრძლივი სისხლისსამართლებრივი წარმოება) და მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნა რა, რომ მომჩივნები იმყოფებოდნენ პოლიციის შეიარაღებული ოფიცრების გამუდმებული ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო სასამართლოს დარბაზში ხდებოდა დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღება. აგრეთვე, გაითვალისწინა რა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელიც იძლეოდა მომჩივანთა მიერ სასამართლო სარბაზში უსაფრთხოებისა და წესრიგისათვის საფრთხის შექმნის, ძალადობის გამოყენების ან მიმალვის, ან მათი საკუთარი უსაფრთხოების ხელყოფის რისკის არსებობის ვარაუდის დაფუძველს, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო დარბაზში მათი საკანში მოთავსება, სადაც მომჩივნებს თვალყურს ადევნებდა საზოგადოება, არ იყო გამართლებული. ზემოხსენებული მოპყრობა ამცირებდა მომჩივნებს, მათ საკუთარ და საზოგადოების თვალში და მათში აღძრავდა ტანჯვისა და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რომელიც უტოლდებოდა ღირსების შემლახველ მოპყრობას. სასამართლომ უარყო მოთხოვნები მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და თითოეულ მომჩივანს მიანიჭა მორალური ზიანის ანაზღაურება 7 500 ევროს ოდენობით.

2013 წლის 29 აპრილს, მოპასუხე სახელმწიფოს მოთხოვნით, საქმე გადაეცა დიდ პალატას.

©ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული წინამდებარე მოკლე მიმოხილვა
სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო

სასამართლო პრაქტიკის საინფორმაციო ბროშურები იხილეთ აქ